



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 4381

06/09/2019

4381-09-2-201909061356



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

**ბატონო ბესიკ,**

განსახილველად წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. ვინაიდან დადგენილების მისაღებად საჭიროა ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, პროექტს თან ერთვის შესაბამისი განკარგულების პროექტიც. ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 21 აგვისტოს N1868 განკარგულებით განხორციელებული ცვლილების შედეგად, მუნიციპალიტეტის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 22274 ლარით, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე 22009 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 265 ლარი, მრავალბინიანი სახლების სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 12731,50 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე 12095 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 636,5 ლარი. აღნიშნული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 110151 ლარი ქ.ლანჩხუთში თავისუფლების და ჭანტურიას ქუჩის კვეთაზე სტადიონის რეაბილიტაციისათვის, შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ბიუჯეტში.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე უნდა შემცირდეს: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 6500 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 500 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 3000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 10000 ლარით.

ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მომართვის საფუძველზე შემცირდეს ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა (ორგ.კოდი 05 03) 198 ლარით, ასევე შემცირდეს კულტურულ ღონისძიებათა პროგრამა (ორგ.კოდი 05 02 02) 5847 ლარით და

შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) 6045 ლარით.

ასევე, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდეს შრომის ანაზღაურების მუხლი 18000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი (შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება) 18000 ლარით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი ცვლილების პროექტი. საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, როლანდ ლაშხიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

**პატივისცემით,**

ალექსანდრე სარიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო  
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1733

06/09/2019

1733-09-3-201909061111



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს  
ქალბატონ მაგული კუნჭულიას  
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

მოხსენებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 21 აგვისტოს N1868 განკარგულებით განხორციელებული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 22274 ლარით, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე 22009 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 265 ლარი, მრავალბინიანი სახლების სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 12731,50 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე 12095 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 636,5 ლარი. აღნიშნული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 110151 ლარი ქ.ლანჩხუთში თავისუფლების და ჭანტურიას ქუჩის კვეთაზე სტადიონის რეაბილიტაციისათვის, შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე შემცირდეს: მრავალბინიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 6500 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 500 ლარით, ბიკარბონატული, ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 3000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 10000 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მომართვის საფუძველზე შემცირდეს ახალგაზრდული

ლონისძიებების პროგრამა (ორგ.კოდი 05 03) 198 ლარით, ასევე შემცირდეს კულტურულ ლონისძიებათა პროგრამა (ორგ.კოდი 05 02 02) 5847 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) 6045 ლარით.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდეს შრომის ანაზღაურების მუხლი 18000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი (შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება) 18000 ლარით.

ცვლილებების ასახვის მიზნით დაიწყოს ბიუჯეტში ადმინისტრაციული წარმოება.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის სექტემბერი  
ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების  
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

**მუხლი 2.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

## ცნობა

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების  
შესახებ**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2019 წლის ----- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2019 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი 27.12.2018, სარ. კოდი:190020020.35.112.016397) შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე-10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე-11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე-12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე-13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე